

შპს „ზურგოვანი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ზოგადი ინფორმაცია -----	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები -----	9

შპს „ზურგოვანი“,
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	ახსნა- განმარტება	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,087,901	1,715,925
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,087,901	1,715,925
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		268,220	7,864,826
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		218,001	1,076,861
მარაგები		22,447	121,572
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		17,808	17,558
გადახდილი ავანსები		20,954	10,291
სხვა მიმდინარე აქტივები		8,943,386	70,457
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,490,816	9,161,565
სულ აქტივები		10,578,717	10,877,490
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,237,524	(1,644,567)
სულ კაპიტალი		1,239,524	(1,642,567)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		11,527	47,252
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		8,467	35,275
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		(3,541)	(3,965)
სხვა ვალდებულებები		10,851,303	12,471,005
საგადასახადო ვალდებულებები		(1,528,563)	(46,564)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,342,734	12,503,003
გრძელვადიანი ვალდებულებები			17,054
სულ ვალდებულებები		9,342,734	12,524,022
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,578,717	10,877,490

დირექტორის მინდობილი პირი: *ე. ვეჯბაძე*

მთავარი ბუღალტერი :



შპს „ზურგოვანი“

მოგება ზარალის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	აბსნა- განმარტება	2018
ამონაგები		3,651,156
თვითღირებულება		(99,125)
საერთო მოგება		3,552,031
დასაქმებულთა ანაზღაურება		(32,714)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(845,056)
საპროცენტო შემოსავლები		108,097
საოპერაციო მოგება		2,782,358
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი		-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		99,732
მოგება დაბეგვრამდე		2,882,090
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		2,882,090

დირექტორის მიწოდებული პირი: *გ. ვიწიჭაძე*

მთავარი ბუღალტერი :



შპს „ზურგოვანი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	2,000	0	(1,644,567)	(1,642,567)
წლიური მოგება	-	-	2,882,091	2,882,091
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		
2018 წლის 31 დეკემბერი	2,000	0	1,237,524	1,239,524

დირექტორის მინდობილი პირი: *ე. პეტრიაძე*

მთავარი ბუღალტერი :



ზოგადი ინფორმაცია

პს :ზურგოვანი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2007 წლის 26 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის ვაკე საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 205025373.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო კონდომინიუმის ტიპის დასახლების მშენებლობა შემდგომი რეალიზაციისთვის.

კომპანია ასევე ეწეოდა საიჯარო მომსახურებას მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. N2; ბინა1;

კომპანიის ფაქტიური მისამართი იყო: საქართველო, ქ.თბილისი, სოფ. ზურგოვანი; თბილისის დიპლომატიური სოფელი; 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ირაკლი ოთარ რუხაძე 01026001979, ა.შ.შ. კომპანიის დირექტორია დავით ვეფხვაძე /01030008475, საქართველო.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 2,000 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 2 ადამიანი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური უწყისები მომზადებულია მის ფასს სტანდარტების შესაბამისად. ორგანიზაციის საანგარიშგებო წელია კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და არ არსებობს რაიმე მიზეზი რის გამოც შესაძლოა ვივარაუდოთ კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ძირითად საანგარიშსწორებო ვალუტას.

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ხდება პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის მეშვეობით.

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტა

ფულადი სახსრები მოიცავს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხულ თანხებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტა, სავალუტო მოთხოვნები და ვალდებულებები მოცემულია საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით:

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ მდგომარეობა აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და

შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი საწყისი პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა მისი გამოყენებისთვის.

ჩიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება კლებადი ნაშთის მეთოდით, შენობა-ნაგებობებს 5%, ხოლო კომპიუტერულ ტექნიკას 20%.

არამატერიალური აქტივები

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები

შემოსავლები დახარჯები

კომპანიის შემოსავალი ძირითადად ყალიბდება გაწეული მომსახურების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია დაჯგუფებულად მათი დანიშნულების მიხედვით. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

სახელფასო განაცემები

ჯელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი ერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგრა

აგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი ჰოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვით კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

აანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიამ დაასრულა პროექტი 2019 წელში.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

1. ძირითადი საშუალებები

2018 წლის მგომარეობით კომპანიას ერიცხებოდა 1,086,799 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები და 1000 ლარის ღირებულე კომპიუტერი.

2. არამატერიალური აქტივები

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ფული რეზიდენტ ბანკებში	268,186	7,864,826
	<u>268,186</u>	<u>7,864,826</u>

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	218,001	1,076,861
	<u>218,001</u>	<u>1,076,861</u>

5. მარაგები

მარაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ნედლეული და მასალები	22,405	121,530
დამხმარე მასალები და სხვა მარაგები	41.68	41.68
	<u>22,447</u>	<u>121,572</u>

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურების მიღებიდან	0	27,164
საგადასახადო ვალდებულებები	-1,528,563	-46,564
	--	--
	<u>1,528,563</u>	<u>-19,400</u>

7. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
მიწის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	3,368,110
სხვა შემოსავალი	283,046
	<u>3,651,156</u>

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	32,714
საგადასახადო ხარჯი	17,142
სხვა ადმინისტრაციული და	827,914
საოპერაციო ხარჯი	877,770

რ. ვეჯბაძე

